ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181202243**

თარიღი: **30.04.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ასლი
ჯონი საჯაია
პირადი ნომერი: 29001010539
მისამართი: თბილისი ჯავახეთის ქ. კორ. 9 ბ. 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 28 დეკემბრის №AR1567382 განცხადება, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის დამტკიცებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს.

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N76, შეშელიძის ქუჩაზე, ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.11.04.026.103; 01.11.04.026.051; 01.11.04.026.052; 01.11.04.026.060) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი თანდართული უფლებრივი ზონირების ნაწილით განხილული იქნა ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ. გიგზავნით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისი №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 აპრილის N 18.249.469 განკარგულებას განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე უარის შესახებ.

გიგზავნით თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებას დანართის სახით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 18.249.469
25 / აპრილი / 2018 წ.

ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N76, შეშელიძის ქუჩაზე, ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.04.026.052, N01.11.04.026.051, N01.11.04.026.060, N01.11.04.026.103, ფართობი 11 355კვ.მ) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონებაზე უარის თქმის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 28 დეკემბერს AR1567382 განცხადებით მიმართა ჯონი საჯაიამ (პ/ნ 29001010539) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N76, შეშელიძის ქუჩაზე, ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.04.026.052, N01.11.04.026.051, N01.11.04.026.060, N01.11.04.026.103, ფართობი 11 355კვ.მ) დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის კორექტირება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გურამიშვილის გამზირსა და ფეიქართა ქუჩას შორის არსებულ ტერიტორიაზე, შეშელიძის ქუჩისა და გლდანის ხიდების მიმდებარედ. ქ. თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბერის N2168 განკარგულებით დამტკიცებული მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის თანახმად, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N76-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება შეშელიძის ქუჩისა და ფეიქართა ქუჩის ჩიხის მხრიდან.

მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 მცირე ნაწილზე აგრეთვე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის N01/194 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, 2007 წლის 9 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის N2924 გადაწყვეტილებით გაიცა ქალაქთმშენებლობითი პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების დასაპროექტებლად. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტს N01/194 ბრძანებით, შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 თებერვლის N01/189 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 11 ივლისის N2924 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ, შესწორდა საპროექტო ტერიტორიის „საერთო ფართობი 8723.0 კვ.მ -ის" ნაცვლად დაფიქსირდა „საერთო ფართობი 8740კვ.მ" და ორი შესაძლო ზონიდან დაფიქსირდა მხოლოდ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა ტერიტორიის საშუალო პარამეტრებით კ-1=0.4 კ-2=3.9.

ამავე მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის N2168 განკარგულებით, დამტკიცდა მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ოქტომბრის N971278 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N76-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა

საქართველო, თბილისი, 0160, კ. მარტყავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N393 განკარგულებით, შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 9 ივლისის N2924 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქალაქთმშენებლობით პირობებში (N2924), ვინაიდან შეიცვალა გრგ საპროექტო არეალი და მასში შემავალ მიწის ნაკვეთს (ს/კ. N01.11.04.026.036) გაეზარდა ფართობი 3885 კვ. მეტრიდან 6500 კვ. მეტრამდე და შეეცვალა საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.103.

ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის N2168 განკარგულებით დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ოქტომბრის N971278 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი ხასიათდებოდა შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით:

ტერიტორიის საერთო ფართობი: ***8 740,0 კვ.მ;***

განაშენიანების ფართობი: ***3515,6კვ.მ;***

განაშენიანების ინტენსივობის ფართობი: ***32553,6კვ.მ;***

საშუალო კ-1=0,4;

საშუალო კ-2=3,7;

სექტორი - N 1

სექტორის ფართობი: ***2300,0 კვ.მ;***

განაშენიანების ფართობი: ***892,1 კვ.მ (კ1=0,4)***

განაშენიანების ინტენსივობის ფართობი: ***13180,0 კვ.მ (კ2=5,7);***

სექტორი - N 2

სექტორის ფართობი: ***2555,0 კვ.მ;***

განაშენიანების ფართობი: 1493,1კვ.მ ***(კ1=0,6)*** *განაშენიანების ინტენსივობის ფართობი:* ***9453,5 კვ.მ (კ2=3,7);***

სექტორი - N 3

სექტორის ფართობი: ***3885,0 კვ.მ;***

განაშენიანების ფართობი: ***1130,4კვ.მ (კ1=0,3)*** *განაშენიანების ინტენსივობის ფართობი:* ***9920,1 კვ.მ (კ2=2,6);***

რაც შეეხება წარმოდგენილ საპროექტო წინადადებას განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია კორექტირებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება:

სექტორ N2-ში იცვლება მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია: ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის N971278 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით დადგენილი ფართობის - 2555 კვ.მ-ის ნაცვლად წარმოდგენილია 2595 კვ.მ. ასევე, იცვლება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტი, კერძოდ, ამავე ბრძანებით დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული კ-2=3,7

ნაცვლად წარმოდგენილია კ-2=4,4, რაც იწვევს სექტორ N2-ში შენობა-ნაგებობისთვის დადგენილი მაქსიმალური სიმაღლის 28,80 მეტრის 54,50 მეტრამდე მომატებას, ხოლო სართულიანობა დადგენილი 4-8 სართულის ნაცვლად წარმოდგენილია 2-15 სართული.

სექტორ N3-ში მომატებულია მიწის ნაკვეთის ფართობი და შეცვლილია მისი კონფიგურაცია, კერძოდ, ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ოქტომბრის N971278 ბრძანებით დამტკიცებული კორექტირებული გრგ-ის პროექტით დადგენილი 3885 კვ.მ-ის ნაცვლა, წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის ფართობი- 6500 კვ.მ. აღნიშნული მიმატებული ტერიტორია წარმოადგენს ქალაქთმშენებლობით პირობებში შეტანილი ცვლილების თანახმად გათვალისწინებულ არეალს, რომელიც წარმოადგენდა დაურეგისტრირებელ სივრცეს. მოცემული არეალისთვის დეტალური პროექტი არ იყო დამუშავებული, შესაბამისად, ტერიტორიას არც კოეფიციენტები ჰქონდა მინიჭებული, თუმცა მოიაზრებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმის ნაწილად და ესკიზის სახით წარმოდგენილი იყო მისი პერსპექტიული განვითარების წინადადება.

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ოქტომბრის N971278 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით მაღლივი 14-15 სართულიანი შენობები განთავსებულია გზიდან მოშორებით, გზის მხარეს ფიქსირდება 3-4 სართულიანი შენობა-ნაგებობა.

ამჟამად წარმოდგენილი კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული წინადადებით იცვლება შენობა-ნაგებობების გეგმარება, სივრცით-კომპოზიციური განაწილება და წარმოდგენილია ერთი, მთლიანი მოცულობის სახით, 11-12 სართულიანი მრავლფუნქციური შენობა-ნაგებობებით. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, შეცვლილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ-1 და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტები, კერძოდ: ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ოქტომბრის N971278 ბრძანებით დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული *კ-1=0,3 ნაცვლად მოთხოვნილია კ-1=0,6, ხოლო კ-2=2,6-ის ნაცვლად - კ-2=4,4.*

აღნიშნული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 კოეფიციენტის გადამეტება იწვევს სექტორ N3-ში შენობა-ნაგებობისთვის დადგენილი მაქსიმალური სიმაღლის 47,70 მეტრის მომატებას 48,90 მეტრამდე. ამასთან, წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის შემდეგი ცვლილება:

სექტორ N2: კ-2=3,7-ის ნაცვლად კ-2=4,4;

სექტორ N3-ში: კ-1=0,3-ის ნაცვლად კ-1=0,6, კ-2=2,6 -ის ნაცვლად კ-2=4,4;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-40 მუხლის შესაბამისად,

1. იმ ობიექტებზე, რომლებზეც განაშენიანების რეგულირების წესების ძალაში შესვლამდე:

ა) დაწყებულია მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა/წერილობითი დასტური, ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი რეგულირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი;

ბ) არაუმეტეს ერთი წლისა დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების მიზნით, ვრცელდება წინამდებარე განაშენიანების რეგულირების წესები, გარდა მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებისა.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ობიექტებზე კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის, ასევე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხები, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, რეგულირდება წინამდებარე წესების შესაბამისად".

„ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესების მე-20

მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების მაქსიმალური მაჩვენებლები გადამეტებულ შეიძლება იყოს დეტალური გეგმარების პროექტების გადაწყვეტების საფუძველზე, თუ:

ა) ამას მოითხოვს დედაქალაქის ქალაქმშენებლობითი და არქიტექტურული, აგრეთვე ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა განსაკუთრებული მიზეზები;

ბ) გადამეტება წონასწორდება ან კომპენსირდება გარკვეული ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

გ) ამას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები;

მსგავს რეგულირებას შეიცავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი. კერძოდ, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ:

ა) ცვლილებას მოითხოვს დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული (სოციალური, ეკონომიკური, ფორსმაჟორული და სხვა მსგავსი) მიზეზები;

ბ) ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

გ) ცვლილებას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის თანახმად, იცვლება მიწის ნაკვეთების გამიჯვნა და შენობა-ნაგებობების განთავსება, სივრცით-კომპოზიციური განაწილება. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ოქტომბრის N971278 ბრძანებით დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების პროექტით წარმოდგენილი მაღლივი შენობები განთავსებულია გზიდან მოშორებით, ხოლო საპროექტო ჭინადადებით წარმოდგენილია მრავლსართულიანი მოცულობები ერთიანი კომპლექსის სახით, რისთვისაც მოთხოვნილია განაშენიანების კ-1 და განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტების გადამეტება, რაც იწვევს საპროექტო არეალის საგრძნობლად გამჭიდროვებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითად მიზანშეუწონელია ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ოქტომბრის N971278 ბრძანებით დამტკიცებულ კორექტირებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში, წარმოდგენილი საპროექტო ჭინადადებით გათვალისწინებული რადიკალური ცვლილებების შეტანა, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტება და ტერიტორიის გამჭიდროვების დაშვება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის AR1567382 განცხადებაზე მომზადებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საინფორმაციო ბარათის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N76, შეშელიძის ქუჩაზე, სიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.04.026.052, N01.11.04.026.051, N01.11.04.026.060, N01.11.04.026.103, ფართობი 11 355კვ.მ) დამტკიცებული კორექტირებული

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონებას.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202